



თელავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო

დადგენილება № 64

28 სექტემბერი 2018 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N41 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N41 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 29/03/2018, 010250050.35.163.016419).

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N41 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საბჭოს მდივანი, რომელსაც საბჭოს შემადგენლობიდან ნიშნავს საბჭოს თავმჯდომარე“.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე